ყაყაჩო თოჯინის პრიადი ფონდი

ფონდი 287 ანაწ. 1 საქ. 179
Фонд 287 опись 1 ед. хр. 179

ფონდი 287 ანაწ. 1 საქ. 179
Фонд 287 опись 1 ед. хр. 179

მუდმივად შესანახი
...ГО ХРАНЕНИЯ

დასკანირებულია 16.01.2025 13

13.

ჯარისკაცი, პედაგოგი, მეცნიერი

და მძიმე დანაკლისის მიუხედავად წინ მიიწევდნენ საბჭოეთის შუაგულისაკენ, მოსკოვისაკენ.

რიგითი ჯარისკაცი, სამხედრო სასწავლებლის კურსანტი, მეთაურიოფიცერი — აი, მოკლე ნუსხა იმ საბრძოლო გზისა, რომელიც განვლო ჩვენმა მეგობარმა ოთარ ქაჯაიამ იმ ქარიშხლიან წლებში. ვორონეჟისა და კალინინის ფრონტებზე ბრძოლის შემდეგ, ვალმოხდილი დაუბრუნდა მშობლიურ კერას, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ პედაგოგის პირველი ნაბიჯები გადადგა მეზობელი სოფლის საშუალო სკოლაში.

შემდეგ, კვლავ მშობლიური უნივერსიტეტი. ისევ საყვარელი ლექტორების, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების — ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილისა და სხვათა საინტერესო ლექციები. მათ ხომ ბევრ ნიჭიერსა და სწავლამოწყურებულ ახალგაზრდას დაულოცეს მეცნიერების მწვერვალებისაკენ მიმავალი ბილიკი, ასწავლეს არჩეული სპეციალობის სიყვარული.

ნიჭიერსა და შრომისმოყვარე შეგირდს იმთავითვე მიაქციეს ყურადღება აღმზრდელმა პედაგოგებმა და აი, 1948-1951 წლებში ოთარ ქაჯაია უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის ასპირანტია, რომელსაც წვრთნის ქართული ენათმეცნიერების ბერმუხა, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბატონი აკაკი შანიძე.

ისევ უძილო ღამეები, წიგნთან ჭიდილში თეთრად გათენებული, სამეცნიერო ექსპედიციები, სესიები, კონფერენციები და შედეგმაც აღარ დაიგვიანა. 1954 წელს ოთარ ქაჯაია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, მხარში ამოუდგა თავის მასწავლებლებს.

წლების განმავლობაში ო. ქაჯაია ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც დღეს ამ საპატიო მისიის შესრულებას განაგრძობენ მისი კოლეგები და ყოფილი სტუდენტები.

ამასწინათ ჩვენთან მოეწყო რეს-

ტის პრორექტორია და ხელმძღვანელობს ისეთ რთულ უბანს, როგორიცაა სასწავლო დარგი.

დღეს ჩვენი ინსტიტუტი დამსახურებულად ითვლება რესპუბლიკის პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელთა ფლაგმანად, რომლის კოლექტივმა უკვე მერამდენე წელია, რაც ზედიზედ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა

ლიანი, რამდენადაც საგნის არცოდნას არავის აპატიებს. იგი მუდამ მზადაა დაეხმაროს სწავლამოწყურებულ ახალგაზრდას, ყველაფერს გააკეთებს, ოღონდ მისმა შეგირდმა ცოდნა შეიძინოს.

ო. ქაჯაიას მეცნიერული მოღვაწეობის სფერო ძირითადად განისაზღვრება ძველი ქართულის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხების კვლევით. მან დიდი წვლილი შეიტანა მოხეური დიალექტის შესწავლაში. ამ საკითხს მიეძღვნა მისი მშვენიერი მონოგრაფია („მოხეური კილო", 1954 წ.). მისი შრომების რაოდენობა ოთხ ათეულს აღემატება. სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე ო. ქაჯაია არაერთხელ გამოსულა საინტერესო მოხსენებებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაბეჭდილია. იგი ძალზე ფრთხილი და ფაქიზი გემოვნების მკვლევარია, რომელიც დიდ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ო. ქაჯაიას მიერ მოპოვებული და გაანალიზებული ლექსიკური მასალა კოლხური ენისა, რომლის შესახებ მონოგრაფიას ჩვენ ახლო მომავალში ვიხილავთ.

კომუნისტი ოთარ ქაჯაია საზოგადოება „ცოდნის" საინსტიტუტო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა, ქართული ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე და ყოველნაირად ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადების ძალზე საპატიო საქმეს.

ზედმიწევნით პრინციპული, თავმდაბალი, გულღია, სიმართლის პირში მთქმელი — აი, როგორ ვიცნობთ ოთარ ქაჯაიას მისი ამხანაგები და მეგობრები.

მოვლენათა მსვლელობაში დრო თითქოსდა შეუმჩნევლად გადის. ჩვენს მეგობარს ამ დღეებში შეუსრულდა სამოცი წელი და მეშვიდე ათეულის აღმართს შეუდგა.

ვუსურვოთ ძვირფას კოლეგასა და მეგობარს მხნეობა, ჯანმრთელი და ბედნიერი სიცოცხლე, ახალ-ახალი წარმატებანი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის სფეროში.

პროფ. ალ. ღლონტი,
პროფ ზ. კაჭარავა.

ყურადღება — გამოცდა!

●

ВНИМАНИЕ— СЕССИЯ!

ყოველწლიურად რეკავს ჩვენს ინსტიტუტში „ბოლო ზარი". ყოველ წელს იციან აღმზრდელმა პედაგოგ-მასწავლებლებმა, რომ კიდევ ერთ დაფრთიანებულ თაობას, ახალგადა პედაგოგებს უნდა დაულოცონ გზა და ზურგის ქარი უსურვონ ცხოვრების უკიდეგანო ოკეანეში, იციან, მაგრამ მაინც ვერ შეეჩვევნენ, რადგან არც ისე ადვილია შეეჩვიო განშორებას.

არადა, რა მალე გასულა ეს ოთხი წელი! მართლაც ჩიტივით გაფრენილა და უტკბილეს მოგონებად უქცევია სტუდენტური წლები. უკანასკნელი ბარიერი დარჩა გადასალახი, მის მიღმა კი სულ სხვაგვარი ცხოვრება იწყება — უამრავი საზრუნავით, უდიდესი მიზნებით და ოცნებებით აღსავსე, თითქოს ათასგზის წარმოსახული, მაგრამ მაინც ბურუსით მოცული და იდუმალი...

ეს ყველაფერი სულ მალე იქნება; ორიოდე კვირაში დაემშვიდობებიან მშობლიურ ინსტიტუტს და აღმზრდელ პედაგოგებს, დაემშვიდობებიან, რათა ახალ და ახალ თაობათა ცხოვრების მესაჭედ იქცნენ და რუდუნებით შეუდგნენ მათი ფაქიზი სულის გამოჩარხვა-გაშალაშინებას. დღეს კი, სახელმწიფო გამოცდებზე, კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე საბოლოოდ აბარებენ ანგარიშს პროფესორ-მასწავლებლებს იმაზე, თუ რამდენად გაისიგრძეგანეს მომავალი სპეციალობის უდიდესი პასუხისმგებლობა, რამდენად ღრმად დაეუფლნენ იმ საგანს, რომელიც დღეს-ხვალ ნორჩ თაობებს უნდა ასწავლონ და რამდენად მზად არიან ატარონ მასწავლებლის მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი.

ამჯერად საგამოცდო მაგიდებს ფილოლოგები უსხდნენ. ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. ისინი სახელმწიფო გამოცდას აბარებდნენ სპეციალობაში საგნის ლექტორებს: ქართული ენის კათედრის გამგეს პროფ. ალ. ღლონტს, ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს დოც. ჭ. თევზაძეს, ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეს დოც. ზ. ბოცვაძეს. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ მოწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის გამგე პროფ. აკ. თოფურია.

დაიწყო გამოცდა. ღელავდნენ გოგონები, თუმცა საბოლოო ჯამში კარგად პასუხობდნენ ბილეთში მოცემულ საკითხებს, წინადადებასაც არჩევდნენ. მაგრამ... ეს არ იყო ამომწურავი, საკუთარ ცოდნაში დარწმუნებულ სტუდენტთა პასუხები, როგორიც უნდა იყოს სახელმწიფო გამოცდაზე. და აი, საგამოცდო მაგიდას ნინო გიგუაშვილი მიუახლოვდა. ფონეტიკური მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა, — სხარტად იწყებს გოგონა პასუხს, ამომწურავად, სიღრმისეულად პასუხობს კომისიის წევრთა შეკითხვებს, შესანიშნავად არჩევს რთულ წინადადებას და დამსახურებულ ხუთიანს იმსახურებს. ასეთივე დამჯერებელი და ლოგიკური მეტყველებით გამოირჩეოდა მარინე ჯანიკაშვილის და ნანა ზაზაძის პასუხებიც. საერთო მოწონება დაიმსახურა ნუნუ თათანაშვილის პასუხმაც. მან ისე ამომწურავად ისაუბრა თანდებულზე. დაახასიათა ნანახი და უნახავი აქტის ფორმები, ისე სიღრმისეულად გაარჩია რთული წინადადება, რომ ხუთიანთან ერთად გამომცდელთა შექებაც დაიმსახურა.

მრთი გამოცდის მოკლე ისტორია

ერთმანეთს ცვლიდნენ გოგონები საგამოცდო მაგიდასთან, ერთმანეთის მიყოლებით იწერებოდა ხუთები და ოთხები. 10 ხუთიანი, 10 ოთხიანი, ასეთია გამოცდის საბოლოო შედეგი.

ბუნებრივია, საწყენი და გულდასაწყვეტია ამ ფონზე რამდენიმე სამიანი. განსაკუთრებით განიცდიდა თანაკურსელთა წარუმატებლობას ჯგუფი, რომელიც ყოველთვის მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჰყავთ ორი სახელობითი სტიპენდიატი — მარინე დგებუაძე — ლენინის სახელობის სტიპენდიატი და ნუნუ გაბუნია — გ. ახვლედიანის სახელობის სტიპენდიატი. ცალკე აღნიშვნის ღირსია ამ გოგონების მიერ დაცული სადიპლომო ნამუშევრები. პროფ. ზ. სარჯველაძის ხელმძღვანელობით მათ ისეთ მაღალ დონეზე დაამუშავეს სადიპლომო შრომები, რომ არა მარტო ხუთები, არამედ რეცენზენტთა მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს.

ამრიგად, პირველი სიმაღლე დაძლეულია. გამოცდები გრძელდება. წარმატებები ვუსურვოთ გოგონებს და მწვანე შუქნიშანი დიდ გზაზე გასვლის წინ.

მ. გეგეჭკორი.



სახელმწიფო გამოცდაზე. დ. სალარეიშვილის ფოტო

„საბჭოთა რეპერტიორი", 1983, 9/III, № 21

ნუნუ ალექსის ასულ თათანაშვილის „ბოლო ზარი" ინსტიტუტის ისტორია